# ჭეშმარიტად, ხალხამდე მოვიდა პირველი წინასწარმეტყველების სიტყვებიდან შემდეგი: თუ შენ არ გრცხვენია, მაშინ გააკეთე ის, რაც გინდა

აბუ მას'უდისგან გადმოცემულია, რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «ჭეშმარიტად, ხალხამდე მოვიდა პირველი წინასწარმეტყველების სიტყვებიდან შემდეგი: თუ შენ არ გრცხვენია, მაშინ გააკეთე ის, რაც გინდა».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

მოციქულმა (ალლაჰის მშვიდობა და კურთხევა მას) გვამცნო, რომ ერთ-ერთი დარიგება, რომელიც გადმოცემულია წინა მოციქულებისგან და ხალხს თაობიდან თაობამდე შეუნარჩუნებია, მათ შორის პირველ მუსლიმებშიც, არის შემდეგი: შეხედე იმას, რასაც აპირებ, და თუ ეს ქმედება სასირცხვილო არარის, მაშინ შეასრულე იგი. თუ კი ის სამარცხვინოა, თავი შეიკავე მისგან, რადგან სირცხვილია ის, რაც ადამიანს აკავებს ცუდი საქმისგან. ვისაც სირცხვილი არ გააჩნია, ჩართულია ყოველგვარ გარყვნილ და დასაგმობ ქმედებაში.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/4559